

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N20

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

30.12.2019 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი: - გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარბეიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, მალხაზ ცერცაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, კობა ტოხვაძე, კობა ძაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, თამთა დვალიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, ოლეგი მიქელთაძე, ივანე კორძაძე, გელა ღვიტიძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი (დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - ლუიზა ჯოგლიძე.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - ლუბა გოგოძე.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შეყიდვების სამსახურის უფროსი - დავით გაბუნია.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - მამუკა ნამიჭეიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს რიგგარეშე ღია სხდომას 14<sup>00</sup> საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

### დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის N27 49 განკარგულებაში ცვლილება -დამატების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: მამუკა ნამიჭეიშვილი.

2. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის გამოცხადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელი: დავით გაბუნია.

3. სხვადასხვა.

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის N27 49 განკარგულებაში ცვლილება -დამატების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2019 წლის N 27 49 განკარგულებას დაემატა ერთი პროექტი: „ძულუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ძულუხში გოგიბერიძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და გზის დამცავი კედლის მოწყობა“. ამ პროექტის დამატება განპირობებულია გზის ავარიული მდგომარეობის გამო.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 25

წინააღმდეგი – არცერთი

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის N27 49 განკარგულებაში ცვლილება -დამატების შეტანის თაობაზე“.

(დანართი: განკარგულება N 27 55).

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით გაბუნიაშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის გამოცხადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რეორგანიზაცია შეეხება მერიის ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის სამსახურს და გვჭირდება თქვენი თანხმობა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 25

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის გამოცხადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

(დანართი: განკარგულება N 27 56 )

„სხვადასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე

